

მანანა კობაიძე

**შინაოზისა და ენის დავებების პოლიტიკის
ისტორიიდან საქართველოში***

სტატიის პირველ ნაწილში განხილულია საქართველოში ეთნიკურ ჯგუფებს შორის საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბებული იერარქია დემოგრაფიული თვალსაზრისით, მეორე ნაწილი ეხება ენების იურიდიული და ფაქტობრივი ურთიერთმიმართების საკითხს იმავე პერიოდის საქართველოში, მესამე ნაწილში განხილულია ამ მიმართებების არაერთგვაროვანი და ურთიერთწინააღმდეგობრივი ხასიათი. მეოთხე ნაწილში ზოგადად არის აღნიშნული ეროვნული ვინაობის ცვლის მიზნით სხვადასხვა საშუალების გამოყენების შესახებ. ბოლოს მოცემულია დასკვნები, რომელიც ნაწილობრივ ანკეტური გამოკითხვის შედეგებსაც ეყრდნობა.

1. უმცირესობათა დემოგრაფიული იერარქიის სამი დონე საბჭოთა საქართველოში

საქართველოში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ფარგლებში მოქცეულ თვითნებულ რესპუბლიკაში, დემოგრაფიულ უმცირესობათა რთული და მრავალსაფეხურიანი სისტემა ჩამოყალიბდა. ტერმინი უმცირესობა ამ სტატიაში გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი მიმართებების გამომხატველი სამუშაო ტერმინი და არა როგორც იურიდიული ცნება. დემოგრაფიული მდგომარეობის მიხედვით საბჭოთა პერიოდის საქართველოში უმცირესობების სამ ჯგუფს გამოვყოფთ:

1. უმცირესობა საბჭოთა კავშირის მთელ მოსახლეობასთან მიმართებით (საქართველოს მოსახლეობა და, კერძოდ, ქართველი მოსახლეობა სსრკ-ს მოსახლეობასთან მიმართებით)

2. უმცირესობა საქართველოს მთელ მოსახლეობასთან მიმართებით (სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები და სხვ. საქართველოში)

3. უმცირესობა რეგიონის მოსახლეობასთან მიმართებით (ქართველები საქართველოს ზოგ რეგიონში).

რეგიონის ფარგლებში უმცირესობად ქცევის მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს:

ა) ამა თუ იმ ჯგუფის ინტენსიური იმიგრაცია მოცემულ რეგიონში.

ბ) უმცირესობის ბრძოლა იმ მიზნით, რომ განდევნოს უმრავლესობა მოცემული რეგიონიდან და თვითონ მოიპოვოს უმრავლესობის სტატუსი (მაგა-

* წაკითხულ იქნა მოხსენებად ბათუმში საერთაშორისო ქართველოლოგიურ სიმპოზიუმზე, 2006წ.

ლითად, ქართველი მოსახლეობის განდევნა აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან 1992-93 წლებში).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უმცირესობათა შესახებ არსებულ კანონპროექტში ვკითხულობთ: „საჭიროა, რომ არსებობდეს იურიდიული გარანტიები, რათა თავიდან იქნეს აცილებული იმ პირების დისკრიმინაცია, ვინც არ მიეკუთვნება უმცირესობას და ცხოვრობს საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც უმცირესობა მოსახლეობის უდიდეს ნაწილს წარმოადგენს,“ (ყორჟოლიანი და აბაშიძე 1999, 18.2, 61). ასევე უნდა აღინიშნოს, ასეთ რეგიონებში მცხოვრებ პირებს, რომლებიც უმცირესობის როლში აღმოჩნდნენ, უყალიბდებოდა უმცირესობისთვის დამახასიათებელი ნიშნები. მაგალითად, ანკეტურმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მათ ერთ ნაწილს სურვილი აქვს, რომ გადასახლდეს ამ რეგიონიდან (ლორთქიფანიძე 1994, 100-103). თუმცა არის საპირისპირო ტენდენციაც, იმისა, რომ ასეთ რეგიონებში მოსახლეობა შეგნებულად ცდილობს საცხოვრისის შენარჩუნებას: “აღნიშნავენ, რომ მათ უნდა დაიცვან საქართველო: “არ შეიძლება ამდენი ტერიტორიის დაკარგვა. აფხაზეთი დაკარგეთ, სამაჩაბლო დაკარგეთ და ამ ტერიტორიასაც ხომ არ დაკარგავთ?” (მელიქიშვილი 1998, 289)

2. ენების სოციოლინგვისტური იერარქია საქართველოში

მსოფლიოში დაახლოებით 5000 თუ 6000 ენას ითვლიან, სახელმწიფოების რიცხვი კი 200-ზე ნაკლებია. ამავე დროს, „მსოფლიოს სახელმწიფოთა მხოლოდ დაახლოებით ერთ მეოთხედს აქვს ერთზე მეტი სახელმწიფო ენა, თუმცა კი სრულიად აშკარაა რომ დანარჩენი სამი მეოთხედი ნაწილი სახელმწიფოებისა სრულიადაც არ არის მხოლოდ ერთენოვანი სახელმწიფოები,“ (ედვარდსი 1994, გვ. 35). საქართველო მსოფლიოს სახელმწიფოთა იმ ერთ მეოთხედ ნაწილს მიეკუთვნება, სადაც ერთზე მეტი სახელმწიფო ენა არის აღიარებული და ენათა იერარქიის საკმაოდ რთული სისტემა არსებობს.

საქართველოში ქართული ენა საუკუნეების განმავლობაში იყო უმრავლესობის ენა. მე-19 საუკუნიდან მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე რუსულმა ენამ დაიკავა უფლებების მიხედვით ძირითადი ენის ადგილი. თუმცა კი ქართულმა შეინარჩუნა უმრავლესობის ენის სტატუსი საქართველოში სხვა ენების მიმართ (სომხურის, აზერბაიჯანულის და ა.შ.). ამგვარად, რუსეთისა და, შემდგომ, ყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებში მოქცეულ საქართველოში ენათა იერარქიის სულ ცოტა სამი დონე ჩამოყალიბდა: 1. რუსული, 2. ქართული და 3. სხვა ენები. თუ აქ კიდევ რამდენიმე პარამეტრს ვავითვალისწინებთ, სურათი კიდევ უფრო გართულდება:

რუსული	მეორადი დონის უმრავლესობის ენა, ფაქტობრივად სახელმწიფო სტატუსისა და ფუნქციების მქონე ენა საქართველოში, საქართველოში დემოგრაფიული უმცირესობის ენა.
ქართული	პირველადი დონის უმრავლესობის ენა, სახელმწიფო ენის იურიდიული სტატუსი საქართველოში

აფხაზური	დემოგრაფიული უმცირესობის ენა, სახელმწიფო ენის იურიდიული სტატუსი აფხაზეთის ტერიტორიაზე; რუსეთის მოსაზღვრე
სომხური, აზერბაიჯანული	დემოგრაფიული უმცირესობების ენები საქართველოში, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ სახელმწიფო ენას წარმოადგენენ. ამავე დროს, უმრავლესობის ენები საქართველოს ზოგ რეგიონში, საქართველოს გარეთ მდებარე ამავე ეთნიკური უმრავლესობით დასახლებული მოსაზღვრე ტერიტორია
ოსური	დემოგრაფიული უმცირესობის ენა საქართველოში, ამავე დროს, უმრავლესობის ენა საქართველოს ერთ რეგიონში, საქართველოს გარეთ მდებარე ამავე ეთნიკური უმრავლესობით დასახლებული ტერიტორია; რუსეთის მოსაზღვრე
ბერძნული	დემოგრაფიული უმცირესობის ენა საქართველოში, უმრავლესობის ენა ზოგ რეგიონში (თურქულენოვანი ბერძნების საკითხს არ ვეხებით). არ ესაზღვრება ამავე ენოვან სახელმწიფოს
ქურთული, ასირიული...	დემოგრაფიული უმცირესობების ენები საქართველოში, რომლებიც არ ქმნიან შედარებით დიდ კომპაქტურ დასახლებებს საქართველოში. საქართველოს ფარგლებს გარეთ რეგიონალური უმრავლესობის ენას წარმოადგენენ, მაგრამ არა სახელმწიფო ენებს.

აშკარაა, რომ კონფლიქტური განვითარების თვალსაზრისით საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სწორედ რუსეთის ტერიტორიის მოსაზღვრეობა არის გადამწყვეტი ფაქტორი.

თუ XIX საუკუნეში აშკარად იდევნებოდა ქართული, 1921 წლის შემდეგ ახალი, უფრო მოქნილი პოლიტიკა იქნა გამოყენებული. კერძოდ, ქართული საქართველოს ტერიტორიაზე იმავე უფლებებით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, როგორც ოსური, აფხაზური, სომხური, აზერბაიჯანული თუ რომელიმე სხვა ენა საქართველოში. უნდა შექმნილიყო ორსაფეხურიანი იერარქია ენებისა: ერთი მხრივ, რუსული ენა, და, მეორე მხრივ, ყველა სხვა ენა. ასეთი მრავალფეროვნების ხელშეწყობა მიზნად ისახავდა არა ამ მრავალფეროვნების შენარჩუნებას, არამედ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე საერთო ნარევის შექმნას, სადაც ყველა ენა ნებისმიერ ტერიტორიაზე თანაბარი უფლებებით ისარგებლებდა და მხოლოდ ერთ ენას, რუსულ ენას ექნებოდა განსაკუთრებული უფლება და ფუნქცია ერთა შორის ურთიერთობისა.

საქართველოს ფარგლებში ქართული ენის უფლებრივი და ფუნქციური გათანაბრება სხვა ენებთან ხორციელდებოდა არა ქართული ენის ფუნქციების აშკარა შეზღუდვით, არამედ სხვა ენებისათვის საქართველოს ფარგლებში ქართულის თანაბარი ფუნქციების მინიჭების გზით. ეს იყო საშუალება იმისათვის,

რომ შევიზრდის მდგომარეობაში ჩაეყენებინა არა ქართული ენა სხვა ენების მიმართ საქართველოში, არამედ ქართული (ყველა სხვა ენასთან ერთად) რუსულის მიმართ. ეს მიზანი არც არასოდეს ყოფილა დაფარული. განათლების სისტემა ერთ-ერთი მძლავრი საშუალება იყო ამ მიზნის მისაღწევად. 30-იანი წლებში საქართველოში 13 ენაზე არსებობდა სკოლები.

დაწვებითი და საშუალო სკოლები საქართველოში 1934-35 წლებში

სწავლების ენა	სკოლების რაოდენობა	მოსწავლეთა რაოდენობა	მათ შორის I-IV კლასები	V-VII კლასები	VIII-X კლასები
ქართული	2 593	378 294	273 047	93 885	11 362
ოსური	334	20 565	18 465	2062	38
თურქული	312	31 014	28 707	2 307	-
სომხური	279	46 856	37 228	8 563	1 065
რუსული	193	39 090	30 335	7 402	1 353
ბერძნული	95	8 709	7 539	1 042	-
აფხაზური	69	4 552	4379	173	-
გერმანული	12	1 608	1 128	377	103
ქურთული	8	485	485	-	-
ესტონური	5	231	231	-	-
ლეკური	3	700	700	-	-
ასირიული	1	58	58	-	-
ქართულ-უდიური	1	59	59	-	-

(სტატისტიკური კრებული 1935, 47-48)

ომის წინ სსრკ-ს საზღვრებში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების უცხოეთთან ყოველგვარი ნათესაური კავშირების მოკვეთის მიზნით იმ სკოლებს, რომელსაც თურქული ერქვა, აზერბაიჯანული ეწოდა, ხოლო იმ ენებზე არსებული სკოლები, რომელსაც ვერ უწოდებდნენ საბჭოთა კავშირის ენებს, გაუქმდა. ეს ენები იყო ესტონური, ქურთული, გერმანული, ასირიული, ბერძნული. ამ ენებზე მოლაპარაკე მოსახლეობას თავისი სახელმწიფოები ანდა ძირითადი გავრცელების არეალები სსრკ-ს საზღვრებს გარეთ ჰქონდა. როგორც ჩანს, სწორედ ამ ნიშნით შეირჩა ეს სკოლები დასახურად. სხვა მხრივ, მრავალფეროვნება შენარჩუნებული იქნა. 80-იან და 90-იან წლებში სკოლების რაოდენობა სწავლების ენების მიხედვით ასე გამოიყურებოდა:

სკოლების რიცხვი სწავლების ენის მიხედვით საქართველოში

	1982-83	1985-86	1990-91	1992-93	1996-97
სკოლების საერთო რაოდენობა	3 604	3 620	3 601	3 163	3 151
ქართული	2 622	2 656	2 670	2 539	2 612

რუსული	274	267	194	128	93
სომხური	187	182	184	136	133
აზერბაიჯანული	178	168	162	159	160
აფხაზური	5	3	4	-	
ოსური	45	55	38	2	3

(განათლების სამინისტროსა და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები)

უნდა აღინიშნოს, რომ ამ სტატისტიკურ მონაცემებში სომხური, რუსული, და აზერბაიჯანული სკოლების რიცხვის შემცირება თითქმის მთლიანად (და აფხაზური და ოსური სკოლების რიცხვის შემცირება - მთლიანად) გამოწვეულია იმით, რომ 1992 წლის მერე საქართველოს განათლების სამინისტროს ხელი აღარ მიუწვდება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სკოლების მონაცემებზე.

უპირატესობები, რომელიც ქართულ ენას ასე თუ ისე ჰქონდა საქართველოში, დამყარებული იყო ძირითადად დემოგრაფიულ სიტუაციაზე. იმ რეგიონებში, სადაც ქართველები დემოგრაფიულად უმცირესობას შეადგენდნენ, ეროვნებათშორის ურთიერთობის ენის ფუნქციას რუსული ენა ასრულებდა. განსაკუთრებით აშკარა იყო ეს ისეთ რეგიონებში, სადაც ერთმანეთის გვერდით კომპაქტურად სახლობდა რამდენიმე სხვადასხვა არაქართულენოვანი ჯგუფი, მაგალითად, წალკაში (მიხაილოვი 1994).

ქვემოთ ვიმოწმებთ ცხრილს, რომელიც აჩვენებს ამ პოლიტიკის შედეგს ენობრივი განვითარების დინამიკის თვალსაზრისით:

თბილისში მცხოვრები სომეხი მოსახლეობის დედა ენა

დედა ენა	1922	1989
რუსული	6,8%	18,8%
ქართული	29,57%	10,15%
სომხური	63,26%	70,9%

(სტატისტიკური კრებული 1927, გვ. 26; 32; სტატისტიკური კრებული 1991, გვ. 86)

რა თქმა უნდა, ყოველგვარი სტატისტიკა შეიცავს გარკვეულ ცდომილებებს (ამაზე აქ არ შევჩერდებით), მაგრამ ძირითადი ტენდენციებს ის მაინც სწორად ასახავს.

3. ენათა იერარქიის ურთიერთწინააღმდეგობრივი ხასიათი

საქართველო ერთი მხრივ წარმოადგენდა ხანგრძლივი ისტორიის მქონე ქვეყანას თავისი კულტურითა და ტრადიციებით, მეორე მხრივ კი საბჭოთა კავშირის შემადგენელ ნაწილს. საქართველოს ასეთმა „ორმაგმა„ სტატუსმა დემოგრაფიულ ფაქტორთან ერთად განაპირობა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის სტატუსის ორმაგი, ურთიერთწინააღმდეგობრივი ხასიათი საქართველოში. ზემოთ აღწერილ სამივე ჯგუფში შეინიშნება ასეთი წინააღმდეგობრიობა:

- საქართველოში ქართულს ერთდროულად ჰქონდა როგორც უმრავლესობის, ასევე უმცირესობის ენის ფაქტობრივი სტატუსი.

- საქართველოში მცხოვრები რუსები ობიექტური მდგომარეობის მიხედვით მიეკუთვნებოდნენ მეორე ჯგუფის უმცირესობას - უმცირესობა საქართველოს მოსახლეობასთან მიმართებით (დემოგრაფიული მდგომარეობის მიხედვით). ამავე დროს ისინი თავს მიაკუთვნებდნენ საბჭოთა კავშირის უმრავლესობას - რუსულ მოსახლეობას და მათ მშობლიურ ენას - რუსულს ენათა იერარქიაში პირველი ადგილი ეკავა.

- სხვა ეროვნული ჯგუფებიც საქართველოში ბუნებრივად ამყლავნებდნენ მიდრეკილებას, რომ თავისი სტატუსი როგორც უმცირესობისა, განეხილათ არა საქართველოს მიმართ, არამედ მთლიანად საბჭოთა კავშირის და, კერძოდ, რუსეთის მიმართ. საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ ასეთი განწყობის გაღვივება იყო. ამ მიზანს ემსახურებოდა ეროვნული მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა სხვადასხვა საშუალებებით, როგორც არის იდეოლოგია, პასპორტი, ენა, დემოგრაფიული პოლიტიკა და ა.შ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს ფარგლებში მცხოვრები ეს ეთნიკური ჯგუფები აღმოჩნდნენ ახალი სინამდვილის პირისპირ. ახლა უკვე ისინი უმცირესობას წარმოადგენდნენ მხოლოდ ქართულ მოსახლეობასთან მიმართებით. ის ზოგადი, გამაერთიანებელი საბჭოთა სახელმწიფო თავისი „ზე-ეროვნული“, და „ზე-რელიგიური“, კერძოდ, ათეისტური იდეოლოგიით, უკვე დაიკარგა, აღარ არსებობდა და, რა თქმა უნდა, ველარც გამაერთიანებელი ძალის ფუნქციას ასრულებდა. ამგვარად, ეს ჯგუფები აღმოჩნდნენ სრულიად ახალ სიტუაციაში. ახლა ისინი უმცირესობას წარმოადგენდნენ არა დიდ საბჭოთა კავშირში, სადაც ყველა ერი და ეროვნება გარკვეულად დაქვემდებარებულ ვითარებაში იყო რუსეთთან მიმართებით და სადაც ყველას ერთი „უფროსი ძმა“, რუსეთი აერთიანებდა გარკვეული ძალისმიერი და იდეოლოგიური საშუალებების გამოყენებით, არამედ ახლა ისინი უმცირესობას წარმოადგენდნენ საქართველოს ფარგლებში, თავისი ყოფილი თანამოძმისა და „თანასწორის“, მიმართ, რომელსაც ჰქონდა თავისი მკვეთრად გამოხატული თავისთავადი ენა, დამწერლობა, კულტურა და ისტორია და სადაც ნაკლებად იყო ხაზგასმული რაიმე უშუალო თანაზიარობა ერთმანეთთან, არამედ კულტურული ურთიერთობაც და ისტორიული მეგობრობაც მოაზრებულ იყო საბჭოთა კავშირის გამაერთიანებელი ფუნქციის ფარგლებში. ახლა, როცა ეს გამაერთიანებელი ძალა ჩამოეცალა, ქართული მხარე მოელოდა, რომ თავისთავად, თავისი ისტორიული უფლებების საფუძველზე, თვითონ შეასრულებდა ახალ სახელმწიფოში გამაერთიანებელ ფუნქციას, მაგრამ ასე არ მოხდა. ზოგიერთმა ამ ჯგუფმა თავი იგრძნო ყოფილი „თანასწორის“, მიმართ დაქვემდებარების საფრთხეში. თუ როგორ გამოიხატა რეაქცია ამ „საფრთხის“ წინააღმდეგ, მთლიანად იყო დამოკიდებული მოცემული ჯგუფების დემოგრაფიულ და გეოგრაფიულ სიტუაციაზე, უპირველესად კი, რუსეთის ინტერესებზე მოცემულ რეგიონებში და მთლიანად, საქართველოსა და კავკასიაში. რა თქმა უნდა, აქ იდეოლოგიურ და პოლიტიკურ მიზეზებზე არანაკლებად მნიშვნელოვანი იყო

ეკონომიკური სისტემის მოშლა.

პროტესტმა ქართული ენის უფლებების წინ წამოწევის წინააღმდეგ მაშინვე იჩინა თავი, როგორც კი საქართველოში ქართული ენის სახელმწიფო ენის სტატუსის რეალურად განხორციელების ღონისძიებები დაიხსნა. რა თქმა უნდა, სამხედრო კონფლიქტებს სხვა მიზეზებიც უძღვოდა წინ (ყორყოლიანი 1995ა, ყორყოლიანი 1995ბ).

უმრავლესობა თუ უმცირესობა?

საქართველოში ბოლო საუკუნეების განმავლობაში ასეთი რთული და მრავალმხრივი მიმართებების პირობებში შესაძლებელი გახდა, რომ უმცირესობისა და უმრავლესობის როლები ერთმანეთს ჩაენაცვლებოდა და თავი იჩინა მოვლენებმა, რომელსაც ვუწოდებთ ფარულ ასიმილაციას და შებრუნებულ ასიმილაციას, XX საუკუნის ბოლოს კი ეს პროცესები უკიდურესი ფორმით გამოვლინდა და საქართველოს ტერიტორიის ზოგი ნაწილიდან ეთნიკური ქართველების განდევნით დამთავრდა.

„ფარული ასიმილაცია“. ზოგი ჯგუფი, რომელიც საქართველოს მთლიანი მოსახლეობის მიმართ უმცირესობას წარმოადგენს, თავისი კომპაქტური განსახლების რეგიონში რეგიონალურ უმრავლესობას ქმნის. დადასტურებულია შემთხვევები, როცა ასეთი რეგიონალური უმრავლესობა ახდენს მცირე ჯგუფების ასიმილაციას. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია ბერძენი ლტოლვილების ჯგუფი. რომელიც 1830 წელს თურქეთიდან საქართველოში შემოვიდა და დასახლდა ახალქალაქთან, სადაც ცხოვრობდნენ ასევე თურქეთიდან ლტოლვილი სომხები. ამ რეგიონში დაახლოებით 50 ბერძენი ოჯახი გასომხდა (ლომსაძე 1975, 337). ეს არის ასიმილაციის საინტერესო შემთხვევა, რომელსაც შეიძლება „ფარული ასიმილაცია“ ვუწოდოთ: უმცირესობის ერთი ჯგუფი უმცირესობის მეორე ჯგუფის მიმართ უმრავლესობის როლში აღმოჩნდება და ახდენს მის ასიმილაციას.

შებრუნებული ასიმილაცია. საქართველოს ზოგიერთ რეგიონში, სადაც ქართველები დემოგრაფიული თვალსაზრისით უმცირესობას წარმოადგენენ, მათ შეიძინეს უმცირესობისათვის დამახასიათებელი ნიშნები (ლორთქიფანიძე 1994, 100-103). ზოგ შემთხვევაში მოხდა მათი ასიმილაცია: ბერძენების მიერ სამცხეში, სოფელ ციხისჯვარში XIX საუკუნეში (ლომსაძე 1975, 337) და სომხების მიერ სამ სოფელში ახალქალაქის გარშემო, სადაც სადაც ქართველები გადმოვიდნენ თურქეთის ქართული სოფლიდან მე-19 საუკუნეში (ლომსაძე 1975, 363-364). XVII-XVIII საუკუნეებში ქართლში ბევრმა ქართველმა ვაჭარმა მიიღო სომხური სარწმუნოება, რაც მათი გასომხების პირველი საფეხური აღმოჩნდა (მაისურაძე 1982, 301-322), დადასტურებულია გაოსების შემთხვევებიც (თოფჩიშვილი 2004, 113-114).

ამ პროცესებს შეიძლება ეწოდოს **შებრუნებული ასიმილაცია**: უმცირესობის ჯგუფი ახდენს უმრავლესობის წარმომადგენლების ასიმილაციას. გადამწყვეტი ფაქტორი ასეთ შემთხვევაში არის დემოგრაფიული ფაქტორი და, ამავე დროს, ჯგუფთაშორისი სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, რომელიც ყალიბდებოდა ან საქართველოს სახელმწიფოს უკიდურესი დასუსტების პირო-

ბებში (მე-17-მე-18 საუკუნეები), ანდა მაშინ, როცა საქართველო თვითონ იყო ნაწილი სხვა სახელმწიფოსი, რომელიც მიზნად ისახავდა მისი ეროვნული სახის შეცვლას (მე-19-მე-20 საუკუნეებში).

4. არსებული ვინაობის მანიპულაციის ცდები

ცნობილია, რომ რუსული ეროვნული პოლიტიკის მიზანი იყო საბჭოთა კავშირის მოსახლეობის გარუსება, ოღონდ ამ პროცესს სახელად ერქვა არა გარუსება, არამედ ახალი ისტორიული ერთობის - საბჭოთა ერის ჩამოყალიბება. ისიც ცნობილია, რომ სტალინის თეორიის თანახმად, ერი განსაზღვრული იყო როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობა, რომელსაც ოთხი ნიშანი აერთიანებდა: ენა, ტერიტორია, საერთო ეკონომიკური სიტემა და საერთო ისტორია, ტრადიციები და კულტურა. სწორედ ამ ნიშნების ჩამოყალიბება იყო რუსეთის ეროვნული პოლიტიკის მიზანი ყოფილ სსრკ-ში.

“საბჭოთა ერის“ ჩამოყალიბების გზაზე დიდი მსხვერპლის ფასად, მაგრამ საკმაოდ მოკლე დროში მოხერხდა ტერიტორიის შემოსაზღვრა და საერთო ეკონომიკური წყობის ჩამოყალიბება, ასე ვთქვათ, მატერიალური სხეულის შექმნა. უფრო ხანგრძლივი და მძიმე პროცესი აღმოჩნდა სულის გადასხვაფერება - საერთო ტრადიციების, ისტორიის, კულტურის ჩამოყალიბება, და ყველაზე მეტად ძნელი და შეუძლებელიც - ერთი ენის გავრცელება და მშობლიურ ენად ქცევა.

იდეოლოგია და კულტურა

იდეოლოგიის თუ რელიგიის ცვლა ხშირად არის პირველი ნაბიჯი ვინაობის შეცვლის გზაზე. საბჭოთა პოლიტიკაც სწორედ ამ გზას ითვალისწინებდა: ახალი, ე. წ. საბჭოთა ვინაობის ჩამოყალიბება უნდა დაწყებულიყო ახალი იდეოლოგიის დანერგვით. ამასთანავე მნიშვნელოვანი იყო, რომ ეს ახალი იდეოლოგია ცხადდებოდა უფრო მაღალი ღირებულების მქონედ, ვიდრე რომელიმე სხვა იდეოლოგია.

ცნობილი “გათიშე და იბატონე“-პოლიტიკის გამოხატულება იყო, რომ ხდებოდა ეთნიკური მრავალფეროვნების და თანასწორობის ხაზგასმა და წახალისება თვითეულ რესპუბლიკაში. ამ გზით ხდებოდა რესპუბლიკის მოსახლეობის ურთიერთგათიშვა და ამ დაცალკევებული დეზინტეგრირებული ჯგუფების გაერთიანება თუ გაერთიანების ცდა უშუალოდ რუსეთის გარშემო. საქართველოს დაშლილ მოსახლეობას მხოლოდ რუსეთთან მიმართებით უნდა მოენახა ურთიერთწონასწორობის პოზიცია. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რესპუბლიკის შიგნით ხელი ეწყობოდა ეთნიკური მრავალფეროვნების შენარჩუნებას. განათლების მიღების საშუალება მშობლიურ ენაზე თუ ერთი მხრივ, დადებითი მოვლენა იყო მშობლიური ენის შენარჩუნებისა და განვითარების თვალსაზრისით, მეორე მხრივ, ხელს უწყობდა რესპუბლიკის ფარგლებში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნულ ჯგუფებს შორის სეგრეგაციას და მარგინალიზაციასაც კი. ამ პროცესების განცდით გამოწვეული უკმაყოფილება, რა თქმა უნდა, მიმართული იყო ქართველებისა და საქართველოს ხელისუფლების მიმართ, რუსეთი კი, რომელიც ამ სცენარის ავტორი იყო, ინარჩუნებდა მესამე მხარის, მი-

უკერძოებელი, დემოკრატიული და სამართლიან მხარის სახეს. ყოველივე ამას ემატებოდა დიდი ზე-სახელმწიფოს ფარგლებში მცხოვრები თვითეული ეთნიკური ჯგუფის მხრივ საკუთარი ვინაობის გადარჩენისა და შენარჩუნების გამაფრებელი განცდა და სხვა ჯგუფებთან “აღრევისაგან“ თავდაცვის გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი სურვილი, რაც ისევ და ისევ გაცალკევების, სეგრეგაციის სასარგებლოდ მოქმედებდა და გაუცხოებას აღვივებდა როგორც უმრავლესობის, ასევე, უმცირესობის მხრიდან.

საპასპორტო პოლიტიკა: მოქალაქეობა, ეროვნება, ეთნიკური წარმოშობა. ერთ-ერთი საშუალება ეთნიკური მრავალფეროვნების ხელშეწყობისა იყო სოციალური ნაციონალიზმის (მოქალაქეობის) ჩანაცვლება ეთნიკური ნაციონალიზმით (ეროვნებით), რაც ცხადად იყო გამოხატული საბჭოთა საპასპორტო პოლიტიკით: საბჭოთა კავშირში მცხოვრები პიროვნება, მიუხედავად იმისა, რომელ რესპუბლიკაში ცხოვრობდა იგი, იყო საბჭოთა კავშირის (და არა მოცემული რესპუბლიკის) მოქალაქე. მაგრამ გარდა მოქალაქეობისა, პასპორტში აღინიშნებოდა ასევე პიროვნების ეროვნებაც - ეროვნება, რომელიც ბევრი სხვა სახელმწიფოს პრაქტიკაში მოქალაქეობას უტოლდება, აქ კი გაიგივებული იყო ეთნიკურ წარმოშობასთან. სოციალური მოქალაქეობა გატანილი იყო რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, სამაგიეროდ პასპორტში აღინიშნებოდა ეთნიკური წარმოშობა. ეს იყო ერთ-ერთი საშუალება იმისათვის, რაც შეიძლება მეტად დანაწევრებულიყო თვითეული რესპუბლიკის მოსახლეობა და წაშლილიყო თვითეული რესპუბლიკის გამოკვეთილი ეროვნული ხასიათი. ამიტომ, მაგალითად, რომელიმე თბილისელის პასპორტი ასე გამოიყურებოდა: საბჭოთა კავშირის მოქალაქე, ეროვნება - სომეხი, დაბადების ადგილი - თბილისი. აღწერის მონაცემებში ამას დაემატებოდა: მშობლიური ენა - სომხური, სსრკ მეორე ენა - რუსული. იმისათვის, რომ ეს სიტუაცია გასაგები გახდეს უცხოეთში მცხოვრებისათვის, ასეთ მაგალითს მოვიყვანთ: ეს დაახლოებით იგივეა, რომ წარმოვიდგინოთ ევროპის გაერთიანება, მაგალითად, გერმანიის სამხედრო და ეკონომიკური ლიდერობით, და მაგალითად, შვედეთში მცხოვრები თურქი, რომელიც არის ევროპის გაერთიანების მოქალაქე, ეროვნება თურქი, მშობლიური ენა — თურქული, მეორე ენა — გერმანული, დაბადების ადგილი — შვედეთი.

სახელდების პოლიტიკა

საბჭოთა კავშირის ხელისუფლება, რომელიც არ ერიდებოდა რეპრესიებს მილიონობით პიროვნებებისა და არა მხოლოდ სოციალური ფენების, არამედ ზოგჯერ მთლიანად ეროვნული ჯგუფების მიმართ, ამავე დროს ძალიან ფრთხილი იყო ეროვნული თანასწორობის ქადაგებისას.

თუ მეფის რუსეთის დროს აშკარად ეძლეოდა უპირატესობა რუსულ იდეოლოგიას და კულტურას დანარჩენი “ჩამორჩენილი“ ერებისა და კულტურების მიმართ, ახალი წყობილების დამყარების მერე გამაერთიანებელ იდეოლოგიად შეიქმნა არა არსებული სარწმუნოებებიდან ერთ-ერთი, არამედ სრულიად „ახალი,, „სხვა,, „ნეიტრალური,, იდეოლოგია - ათეიზმი, ახალი სახელმწიფოს სახელი ასევე - ნეიტრალური - საბჭოთა კავშირი და არა, მაგალითად, რუსეთი,

თვით რუსეთის ისტორიაც ისწავლებოდა სახელით საბჭოთა კავშირის ისტორია და არა რუსეთის ისტორია, დღესასწაულებად შემოღებული იქნა საერთო, საზიარო, ე. წ. საბჭოთა ღირსშესანიშნავი თარიღები, რომელიც ასევე ნეიტრალური იყო ყველა სხვა ტრადიციის მიმართ (რომლებიც მაგნე გადმონაშთებად იწოდებოდა). ახალი დამწერლობები, რომლებიც შეიქმნა უდამწერლობო ენებისათვის, პირველად ეყრდნობოდა ნეიტრალურ ლათინურ ანბანს (ნეიტრალურს, რამდენადაც მაშინდელი სსრკ-ს ფარგლებში იგი არც ერთი ეროვნული დამწერლობის საფუძველი არ იყო) და არა, მაგალითად, კირილიცას ან არაბულს. ვინაობის ცვლას, რაც დაგეგმილი იყო, ერქვა საბჭოთა ერის ჩამოყალიბება და არა გარუსება. ერთადერთი რამ, რის სახელის შეცვლაც ვერ მოხერხდა, იყო ენა. ის საერთო ენა, რომელზეც მომავალ საზოგადოებას უნდა ესაუბრა, იყო რუსული ენა. რუსული ენა ცხადდებოდა მეორე მშობლიურ ენად, რომელიც თანდათანობით უნდა ქცეულიყო ერთადერთ მშობლიურ ენად. რუსული ენის უპირატესობა ყველა სხვა ენის მიმართ იდეოლოგიური საფუძვლით მართლდებოდა: რუსული ენა იყო რევოლუციის ენა, ლენინის ენა, სოციალისტური და კომუნისტური იდეოლოგიის ენა. დაახლოებით ისევე, როგორც სხვადასხვა რელიგიასთან ერთად სხვადასხვა ენა ვრცელდებოდა, სოციალიზმთან ერთად უნდა გავრცელებულიყო რუსული ენა.

ამ იდეოლოგიის დანერგვას ემსახურებოდა მკაცრი ცენზურა (ტაბიძე 2004); ამავე მიზნით გამოიყენებოდა სხვა საშუალებებიც როგორც არის დამწერლობის ცვლა (ბილიგმეიერი 1987, ლუისი 1972, 169-170; ისაევი 1979, 251-170; კომრი 1981, 23, 33; გვანცელაძე 1998, 30-31), ასევე ისეთი ერთეულების სახელდების ცვლა, როგორც არის ენა (თურქული/ოსმალური > აზერბაიჯანული), ეროვნული ჯგუფები (თურქები/ოსმალები > აზერბაიჯანელები), ტერიტორიები (სამხრეთ ოსეთი), გეოგრაფიული სახელები (ბოგდანოვკა, წითელწყარო...) და გვარების ცვლა (კობაიძე 1999).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ახალი ვინაობის ჩემოყალიბების გზაზე საბჭოთა პოლიტიკის პირველი ეტაპი - რესპუბლიკის შიგნით მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით უკიდურესი სეგრეგაცია - წარმატებით შესრულდა, მაგრამ შემდგომი ნაბიჯი, რომელიც უნდა ყოფილიყო ამ მრავალი მოზაიკური ნაწილისაგან ერთი ახალი მთლიანობის, ე. წ. საბჭოთა ერის ჩამოყალიბების პროცესი, ვერ განხორციელდა. საბჭოთა კავშირის რღვევის პროცესთან ერთად დაიწყო სხვადასხვა ეროვნული საზოგადოებების აქტიური მოქმედება. მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო მოსახლეობის ერთმა ნაწილმა, მათ შორის, ქართველი მოსახლეობის ნაწილმაც, დატოვა საქართველო, მეორე ნაწილმა მოინდომა საქართველოს დატოვება მიწიანად - ტერიტორიული გამოყოფა.

ქართულმა ენამ შეიძინა **ერთი ახალი ფუნქცია** - იგი გახდა **სამხედრო სამსახურის ენა** და, ასევე, სწავლების ენა სამხედრო აკადემიაში.

საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე ნათლად გამოჩნდა, რომ თვითეული ეროვნული ჯგუფისთვის გაცილებით მნიშვნელოვანი იყო საბჭოთამდელი ვინაობა, ტრადიციები და, სართოდ, ღირებულებების კომპლექსი, ვიდრე ახალი,

თავსმოხვეული ღირებულებები. ეროვნული ცნობიერების განვითარების უკიდურესი აღმავლობა, ომები ტერიტორიების გადანაწილებისათვის, ეროვნული ნიშნით მოსახლეობის „წმენდა“ — ასეთი შედეგით დამთავრდა ერების შერწყმის საბჭოთა პროექტი. არ იქნება მართებული, რომ ამ პროცესების გამომწვევ და ხელისშემწყობ ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტორებთან ერთად გათვალისწინებული არ იქნეს იდეოლოგიური ფაქტორების მნიშვნელობაც, საკუთარი ვინაობის ხსოვნის, გამოხატვის და შენარჩუნების სურვილის მნიშვნელობა როგორც ჯგუფის, ასევე ინდივიდის დონეზე.

აღსანიშნავია, რომ 1999 წელს თბილისის სკოლებში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მოსწავლეების აზრით, მათ არაქართულენოვან სკოლაში სწავლა დაბრკოლებას არ უქმნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

თუ გადავხედავთ თბილისის რუსულ სკოლებში მოსწავლეთა ეროვნებას, აშკარაა, რომ არარუსი ეროვნების მოსწავლეები სჭარბობენ: რუსულ სკოლებში გამოკითხული 87 მოსწავლიდან მხოლოდ შვიდმა დაასახელა რუსი თავის ეროვნებად. რაც შეეხება გამოკითხვაში მონაწილე 137 სომეხი ეროვნების მოსწავლეს, მათგან 99 სომხურ სკოლებში სწავლობდა, 2 ქართულ სკოლაში და დანარჩენები რუსულ სკოლებში.

მთლიანად ეს მონაცემები თვალნათლივ აჩვენებენ, რომ რუსულ ენას მეოცე საუკუნის ბოლოსათვის ისევ ძლიერი პოზიციები ჰქონდა საქართველოს არაქართველ მოსახლეობაში. ამ ფონზე განსაკუთრებით საინტერესოა, რომ მომავალი განვითარების თვალსაზრისით ქართულს და ინგლისურს აშკარად ეძლევა უპირატესობა რუსულთან და სხვა ენებთან შედარებით. თბილისის, ახალციხის და ახლქალაქის რუსულ და სომხურ სკოლებში გამოკითხულთაგან შეკითხვაზე რომელი ენის ცოდნის გაუმჯობესებას ისურვებდა პასუხები ასე განაწილდა:

- ქართული (100)
- ინგლისური (90)
- სომხური (28)
- რუსული (20)
- ჭურთული (20)
- გერმანული (19)
- ფრანგული (13)
- ბერძნული (6)

რა თქმა უნდა, ეს ციფრები, ერთი მხრივ, გამოხატავენ ქართულისა და ინგლისურის მიმართ მზარდ ინტერესს და, მეორე მხრივ, იმაზეც მეტყველებენ, რომ სწორედ ამ ენების ნაკლებად ცოდნა უნდა იყოს ერთ-ერთი მიზეზი ამ ენების ცოდნის გაუმჯობესების სურვილისა. ასეა თუ ისე, თვით ეს სურვილი ინტეგრაციის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს და იქნებ მომავალი სასიკეთო ძვრების საფუძველიც კი გახდეს, თუკი ამ სურვილს მოსახლეობის რეალური დასაქმებისა და ეკონომიკური ცხოვრების მოწესრიგებაც დახვდებოდა როგორც განვითარების ფონი.

ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ მხოლოდ ეკონომიკურად და პოლიტიკურად წარმატებული საზოგადოების ენას აქვს განსხვავებული დედა ენის და

ეროვნული ვინაობის მქონე მოსახლეობისათვის მეორე ენად ფუნქციონირების რეალური პოტენცია.

თვითონ რესპონდენტები ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესების სურვილის ძირითად მიზეზად ასახელებდნენ იმას, რომ ამ ენის ცოდნა ზრდის დასაქმების ბაზარზე კონკურენტუნარიანობას და, ამავე დროს, უცხოეთში სამუშაოდ წასვლის საშუალებას იძლევა; მათივე აღწერით, ქართული ენის ცოდნის გაუმჯობესების სურვილი გამოწვეულია საქართველოში სიტუაციის შეცვლით. რაც შეეხება სომხურს, ბერძნულს და სხვა ენებს, გაუმჯობესების სურვილი ახსნილია იმით, რომ ეს ენები რესპონდენტების მშობლიურ ენებს წარმოადგენენ.

ალბათ ურიგო არ იქნებოდა, რომ საქართველოს გაეზიარებინა იმ უცხო ქვეყნების გამოცდილება, სადაც სახელმწიფო ენის არმცოდნე მოსახლეობისათვის არსებობს გაზეთები და ყოველდღიური საინფორმაციო რადიოპროგრამები, სადაც მარტივი ენითა და ნელი ტემპით, ადვილად აღსაქმელი წარმოქმით გადაიცემა ახალი ამბები. საინფორმაციო საშუალებებს ხომ რეალური ძალა აქვს საზიარო კულტურული სივრცის შესაქმნელად. არც ის იქნებოდა ურიგო, რომ არაქართულენოვანი მოსახლეობისათვის ქართული ენის გაკვეთილები გადაიცემოდეს რადიოთი და თუნდაც ტელევიზიით. აღარ ვჩერდებით იმ საკითხზე, თუ რა როლი აკისრია განათლების სისტემას ამ მხრივ.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს სახელმწიფოს ეკონომიკურ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული, მაგრამ ალბათ ასეთი ღონისძიება კეთილი ნების გამოხატულებად იქნებოდა აღქმული მათ მიერ მაინც, ვინც ქართული ენის უკეთესად ცოდნის მსურველია.

ლიტერატურა

ბილიგმაიერი 1987 — Jon-Christian Billigmeier, Alphabets [ჯონ-ქრისტიან ბილიგმაიერი, ანბანები], წიგნში: The encyclopedia of religion 1, 216-22. New York:Macmillan, 1987.

გვანცელაძე 1998 — თ. გვანცელაძე, ანბანთა ლათინიზაციის ისტორიისათვის, არნოლდ ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბილისი, 1998.

ედვარდსი 1994 — John Edwards, Multilingualism [Jon edwardsi, mravalenovneba], London, Routledge, 1994.

თოფჩიშვილი 2004 — რ. თოფჩიშვილი, ქართულ-ოსური ენობრივ-ეთნიკური ურთიერთობა და ენობრივი სიტუაცია საქართველოში, კრებულში: ქართველური მემკვიდრეობა, VIII, ქუთაისი, 2004.

ისაევი 1979 — მ. ისაევი, ენობრივი მშენებლობა საბჭოთა კავშირში, , მოსკოვი, 1979 (რუსულ ენაზე).

კობაიძე 1999 — მ. კობაიძე, Minority identity and identity maintenance in Georgia, in: Working Papers, vol. 47. pp. 149-168. Department of Linguistics, Lund University, 1999.

კომრი 1981 — B. Comrie, The languages of the Soviet Union [bernard komri, sabyoTa kavSiris enebi], Cambridge: Cambridge University Press, 1981.

ლუისი, გლინი 1972 — Lewis, E. Glyn, Multilingualism in the Soviet Union. Aspects of language policy and its implementation [მრავალენოვნება საბჭოთა კავშირში, ენობრივი პოლიტიკისა და მისი განხორციელების საკითხები საბჭოთა კავშირში], The Hague: Mouton, 1972.

ლომსაძე 1975 — შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე), თბილისი, 1975.

ლორთქიფანიძე 1994 — ვ. ლორთქიფანიძე, სამცხე-ჯავახეთი XIX-XX საუკუნეებში, თბილისი, 1994.

მაისურაძე 1982 — გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში, თბილისი, 1982.

მელიქიშვილი 1998 — ლ. მელიქიშვილი, ეთნიკური ღირებულების როლი კონფლიქტურ სიტუაციაში, წიგნი: კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბილისი, 1998.

მიხაილოვი 1994 — მ. მიხაილოვი, საქართველოში მცხოვრები ბერძნების ეთნიკური თვითშეგნების თავისებურებანი, ხელნაწერი (რუსულ ენაზე), საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ეროვნულ ურთიერთობათა კვლევის ცენტრი, თბილისი, 1994.

სტატისტიკური კრებული 1935, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი, სტატისტიკური კრებული, თბილისი, 1935.

სტატისტიკური კრებული 1927, სტატისტიკური ცენტრალური სამმართველო, სტატისტიკური კრებული 1922-1926, თბილისი, 1927.

სტატისტიკური კრებული 1991 — საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, 1989 წლის აღწერის მასალები, თბილისი, 1991.

ტაბიძე 2004 — მანანა ტაბიძე, ენობრივი ცენზურა, როგორც ენობრივი პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, კრებულში: ქართველური მემკვიდრეობა VIII, ქუთაისი, 2004.

ჟორჯოლიანი 1995ა — გ. ჟორჯოლიანი, ს. ლეკიშვილი, ლ. ფრუიძე და ე. ხოშტარია-ბროსე, Historic, political and legal aspects of the Georgian-Ossetian conflict [ქართულ-ოსური კონფლიქტის ისტორიული, პოლიტიკური და იურიდიული ასპექტები], თბილისი, 1995.

ჟორჯოლიანი 1995ბ — გ. ჟორჯოლიანი, ს. ლეკიშვილი, ლ. ფრუიძე და ე. ხოშტარია-ბროსე, Historic, political and legal aspects of the Georgian-Ossetian conflict [ავხაზეთის კონფლიქტის ისტორიული, პოლიტიკური და იურიდიული ასპექტები], თბილისი, 1995.

ჟორჯოლიანი და აბაშიძე 1999 — გ. ჟორჯოლიანი და ა. აბაშიძე, ეროვნულ (ეთნიკურ) უმცირესობათა უფლებების დაცვა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ეროვნულ ურთიერთობათა კვლევის ცენტრი, თბილისი, 1999.

MANANA KOBALDZE

From the History of Identity and Language Planning Policy in Georgia

S u m m a r y

During the Soviet period, languages and identities formed a complicated hierarchy in Georgia as well as in the whole Soviet Union. Russian was a major language relative to Georgian and Georgian was a major language relative to other languages in Georgia. At the same time, Georgians constitute a minority group in some regions of Georgia and Georgian is a language of the minority in these regions. Ambiguity of status is observable among other groups as well.

The cases of reversed assimilation have occurred: A minority group appears as a regional majority and assimilates representatives of the majority group. It has also been attested that one minority group assimilates another minority group. The crucial factor is the demographic factor and the intergroup sociopsychological climate, which was formed when Georgia itself was either a weakened state (17th-18th centuries) or a part of another state (19th-20th centuries) that tried to change the national face of Georgia.

The Russian policy aimed to grant all languages the same rights on the whole territory of the Soviet Union despite the national borders (except those languages that are main languages of population outside the borders of the Soviet Union Assyrian, Kurdish, Greek). This was meant to create a new language balance among all languages where only Russian should work as a means of interethnic relations, and place Georgian at the same level as Armenian, Azerbaijanian, and other languages in Georgia as a first step of the Russification.

Changes during the post-Soviet period have been reflected on this hierarchy.

After the Soviet period the second group of minorities turned out to be minorities only in relation to Georgians lacking the Soviet (Russian) state with its supranational and even suprareligious or atheistic ideology (communism). Thus this second group found itself to be a part not of the Soviet Union (where every nationality had its contribution, and everybody had the same "elder brother" Russia), but to be a minority in Georgia, an old country with its very clearly defined own historic and cultural face. Some of these groups felt like minorities for the first time relatively to their former "equals". Protest against the new hierarchy and attempts to maintain and more precisely to obtain a new status in Georgia have emerged. The choice of the forms of these attempts depends on the demographic and geographic situation of the group. The hard socio-economic situation in Georgia also plays its part in this case.

This gave opportunity to Russia to retain immediate ties to any group within the former "middle-stage" state Georgia and even grant its citizens with the citizenship of Russia as a new means of expansion after the supra-national state fall.

This article is an attempt to present a general review of these processes and to describe the means employed by the Soviet State for replacing the traditionally formed identities by the new Soviet one. One step of the Soviet policy - to disintegrate, to deconstruct the inner structure of all republics - turned out to be reached to a significant degree, the next step - to integrate all these parts around one centre - the Soviet identity

involving the shared history, culture, language, ideology, has failed. The complex of older values appeared to be stronger than the new Soviet one.

Under the “umbrella” of the “supranational” Soviet citizenship of the supranational state the consciousness of real “informal” ethnic belonging to own ethnic groups has been preserved and developed among both Georgians and other ethnic groups in Georgia as a compensation of the lacking national citizenship. The independent Georgia faces the challenge to integrate the population of Georgia not only administratively and economically, but also ideologically and linguistically.